16 07) – 37,5 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 30,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) – 15,4 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 79,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) – 5,3 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 394,7 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნამალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 453,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 358,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 407,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 172,9 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 300,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 477,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 410,9 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 399,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 392,9 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 150,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) პროგრამის ასიგნება - 243,8 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 500,0 ათასი ლარით.

მცირდება: გზების მოვლა-შეკეთება ნამალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) ქვეპროგრამის ასიგნება - 100,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 94,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 130,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 83,7 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 125,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 138,8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 146,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 164,3 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 20,0 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნება - 27,9 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 20,0 ათასი ლარი, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) - ქვეპროგრამის ასიგნება 15,0 ათასი ლარი, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) – 10,0 ათასი ლარი, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) – 284,2 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნება - 109,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 10,0 ათასი ლარი, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი 04 12) – 266,5 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) ქვეპროგრამის ასიგნება - 50,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 0115) – 25,6 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 15) -100,2 ათასი ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 1 400,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) – 20,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და

საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) – 167,0 ათასი ლარი, სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 110,0 ათასი ლარი, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 3 400,0 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 14 10) – 2,1 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) – 52,0 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში (კოდი 06 02 14 12) – 38,2 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 14 14) – 12,9 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) – 256,9 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 15 10) – 7,0 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 15 11) – 7,0 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 15 14) – 7,7 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) – 5,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) – 55,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 16 11) – 28,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 34,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 85,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 17 10) – 7,1 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 17 11) – 6,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 17 14) – 3,2 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) – 45,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 20 04) – 4,5 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) – 3,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (კოდი 08 06 04) – 240,3 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 30,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 70,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 08 11 05) – 88,7 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 15,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) – 72,5 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 75,9 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) პროგრამის ასიგნება - 120,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) – 722,9 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) – 318,6 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) – 982,8 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) – 1 941,1 ათასი ლარი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 201 097,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 132 243,4 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 721 423,4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 172 277,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი

(გარდა მიწისა) – 25 486,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 19 080,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 504 579,5 ათასი ლარი. გრანტები 211 152,6 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 692,6 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 175 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 35 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 199 667,4 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 10 300,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 31 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 55 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 11 500,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 43 867,4 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 270 531,8 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 967 254,9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 288 398,8 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 14 878,2 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 164 988,6 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 219 687,8 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 288 398,8 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 68 711,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს ( 69 577,4 ) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება – 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 69 434,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (14 878,2) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 14 878,2 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 699,2) ათასი ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

3. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მრ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არესთვის“ (ს/ნ 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ (საკრებულოს №12-03213221-03 -18.11.2021

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ. მისი თქმით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე. წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“) განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდის ([www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)) საშუალებით

2021 წლის 23 ივლისიდან 2021 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, IV მრ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ, ნაკვეთი 004/001 (ს/კ: N N01.19.39.004.002 - ფართობი: 5 0 0 0 კვ.მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (შემდგომში - „სამშენებლო პროექტი“) (მოთხოვნილი განაშენიანების მინიმალური ფართობი კ2=არაუმეტეს 3.2-ის გათვალისწინებით - 1600 კვ.მ.) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“). აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ყველაზე მაღალი შეთავაზება (2 800 კვ.მ-ის ოდენობით) (შემდგომში - „გადასაცემი ფართი“) - წარმოადგინა შპს „ქოზი ჰოუმ თბილისმა“ (ს/კ: 406228283), თუმცა მის მიერ სრულად არ იყო წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ინტერესთა გამოხატვის 3.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) სასარგებლოდ გაცემული 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, ინტერესთა გამოხატვაში წარმოდგენილი წინადადების (შეთავაზების), ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრულ ვადაში, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, სამშენებლო ნებართვების მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზრუნველყოფის პირობით) შესრულების უზრუნველსაყოფად. ინტერესთა გამოხატვის 3.2. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვინაიდან, საბანკო გარანტიის წარმოდგენლობის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენისთვის, დაინტერესებულ პირს დამატებითი ვადა არ განესაზღვრება და დაუყოვნებლივ მიეცემა ინტერესთა გამოხატვიდან დისკვალიფიკაცია, სააგენტოს მიერ განხილულ იქნა რიგით მეორე უპირატესი შეთავაზების მქონე (2500 კვ. მ. ფართი - თეთრი კარკასის მდგომარეობით), კომპანიის - შპს „არქ არეას“ - ს/კ: 404619711) (შემდგომში - „კომპანია“) 2021 წლის 27 აგვისტოს N10/01212391004-61 განაცხადი. აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოდგენილი იყო ინტერესთა გამოხატვის პირობების 3.2 პუნქტით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაცია, მათ შორის: სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის (სს „თიბისი ბანკის“ - ს/კ: 204854595 მიერ 2021 წლის 26 აგვისტოს თარიღით გაცემული საბანკო გარანტია N 7519744-11563835) უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, ხოლო გადასაცემი სამშენებლო ფართის შეთავაზება წარმოადგენდა 2 500 კვ. მ-ს (თეთრი კარკასის მდგომარეობით). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს 2021 წლის 3 სექტემბრის N61-01212461802 წერილის თანახმად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „არქ არეას“ (ს/კ: 404619711) (შემდგომში - „კომპანია“). შესაბამისად, სააგენტომ უზრუნველყო კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება და პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება. მიზანშეწონილია განიმარტოს, რომ კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებისას რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილია „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით. კერძოდ, მითითებული განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ორი კრიტერიუმით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ქულით (შემდგომში - „სარეიტინგო ქულა“) ან/და ტერიტორიულობის პრინციპით. სარეიტინგო ქულის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე პირს, ტერიტორიულობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ უპირატესობა ენიჭება პირს, რომელსაც უნდა აშენებოდა კოოპერატიული საცხოვრებელი ბინა იმავე რაიონში, სადაც, კონკრეტული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი მოიაზრებს დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილებას. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტი ადგენს გამონაკლისსაც და განსაზღვრავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, დაზარალებულ პირთა რიგითობა განსაზღვროს ამ ორი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშეც. მოცემულ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (33 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის, სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, მათთვის გადასაცემი ფართის ოდენობის გათვალისწინება შესაძლებელი იყო ჯამურად განსაზღვრული ოდენობის (2500 კვ.მ-ის) შესაბამისად. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე. განკარგულების დანართებით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის ოდენობას (ამ შემთხვევაში 2500 კვ.მ-ს). დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. ასევე, ჯამური გადასაცემი ფართის ზუსტი ოდენობით გადანაწილებისათვის, საჭირო გახდა რამდენიმე პირისათვის გადასაცემი ფართის დაკლება 0,5-1 კვ.მ-ის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი

ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.19.39.004.002) განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხსა და მათთან დასაბუთებულ ხელშეკრულების პროექტზე, განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032131926-03 -15.11.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, განაშენიანების რეგულირების წესების 16 1 მუხლი განსაზღვრავს საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში (სსზ-1; სსზ-2) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით საცხოვრებელი ფუნქციის განთავსებისას მაკომპენსირებელ ღონისძიებებს. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრა აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 10%-ის ოდენობით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულია მათ შორის კოვიდპანდემიით, მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილება და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის პროცენტული ოდენობა განისაზღვროს 4%-ით. ხოლო, 2023 წლის 1 იანვრიდან კი 8%-ით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (საქმე№12-032131926-03. 15.11.2021წ) საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03213003-03 27.10.2021; №12-03213021-03 29.10.2021; №12-03213023-03 29.10.2021; №12-032130822-03 - 04.11.2021; 12-032131927-03 -15.11.2021; 12-03213222-03 - 18.11.2021; 12-03213226-03 -

18.11.2021; 12-03212526-03 – 09.09.2021; 12-03212179-03 - 05.08.2021; 12-032132210-03 - 18.11.2021)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-03213003-03 27.10.2021; №12-03213021-03 29.10.2021; №12-03213023-03 29.10.2021; №12-032130822-03 – 04.11.2021; 12-032131927-03 -15.11.2021; 12-03213222-03 - 18.11.2021; 12-03213226-03 - 18.11.2021; 12-03212526-03 – 09.09.2021; 12-03212179-03 - 05.08.2021; 12-032132210-03 - 18.11.2021) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტიმემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 43 წინადადება და პროექტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

№12-03213003-03 27.10.2021;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.35.102) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა. N81.02.35.102საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის დიდ ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) რომელიც წარმოადგენს სამშენებლო ფუნქციურ ზონას ნაცვლად ამჟამად გავრცელებულ სატყეო ზონისა. შესაბამისად, ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღების შემდგომ, მოხდა მიწის ნაკვეთზე სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობის გაუარესება. N81.02.35.102 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ამასთან, მიმდებარე რეგისტრაციები სამშენებლოდ განვითარებულია (გზის პარალელურად მდებარე რეგისტრაციებზე) შესაბამისად ერთიანი იერსახით განვითარებისთვის თაბორის ქუჩის პარალელურად მდებარე რეგისტრაციებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 22 სექტემბრის N18-01212653637წერილის მიხედვით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილსაპროექტო არეალზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება დათბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული (სატყეო ზონა) ფენის მოხსნა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე მიწის



ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.35.102) და მიმდებარე არალზე სატყეო ზონის (სატყეო) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, იპოლიტოვ ივანოვის ქუჩა (ყოფილი ქერჩის) N10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.403, N01.11.05.029.402) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და სამრეწველო ზონა 1 (ს-1), გამწვანებული ტერიტორიების რუკით კი განსაზღვრულია შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 19 ოქტომბრის N01212922198წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, იპოლიტოვ ივანოვის ქუჩა (ყოფილი ქერჩის) N10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.403, N01.11.05.029.402) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, გამცემლიძის ქუჩა N27-29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.054.083) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2021 წლის 19 ოქტომბრის N01212923350წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, გამცემლიძის ქუჩა N27-29-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.054.083) ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.040 დამომდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ისა (სპეც-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 19 ოქტომბრის N18-01212922241წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021



წლის 20 ოქტომბრის N16- 012129356 წერილის მიხედვით, ვინაიდან, აღნიშნულ მონაკვეთზე სატრანსპორტო ქვეზონა არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას, მიზანშეწონილია, რომ იგი გავრცელდეს ფაქტობრივ ზონაზე, როგორც საკადასტრო საზღვრებში, ისე, მის მიღმა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.040 და მიმდებარე ტერიტორიაზე) სპეციალური ზონა 1- ისა (სპეც-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება მისაღებად;

ე) ქალაქ თბილისში, თემქაზე, III მიკრო რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.05.001.111) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება ასევე, გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბნული) გამწვანების და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 20 ოქტომბრის N18-01212931859 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები და რზ-1) დაბრუნება. ზემოაღნიშნულ ტერიტორია წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მომართვის საფუძველზე განხორციელდა სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება, ასევე მოიხსნა გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენები. ვინაიდან, ახლადწარმოქმნილ რეგისტრაციას (განხორციელდა კონფიგურაციის ცვლილებაც) შეეცვალა მესაკუთრე (სახელმწიფო) გამოიკვეთა ძველი ზონირების დაბრუნების მიზნობრიობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თემქაზე, III მიკრო რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.05.001.111) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება ასევე, გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბნული) გამწვანების და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) გავრცელება.

**№12-03213021-03 29.10.2021;**

ა) ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურის მარჯვენა მხარეს არსებული N29 სასადილო ლუდის ბარის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია (საკადასტრო კოდი: N01.16.01.005.015) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 27 ოქტომბრის N0121300128 წერილის მიხედვით ვინაიდან საპროექტო ტერიტორია არსებული მდგომარეობით განვითარებულია მოთხოვნილი ფუნქციური ზონისათვის დამახასიათებელი ნაგებობებით, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გავრცელების წინააღმდეგი არ არის. ასევე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით N01.16.01.005.015 საკადასტრო

კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წინამდებარე დადგენილებების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურის მარჯვენა მხარეს არსებული N29 სასადასტრო ლუდის ბარის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია (საკადასტრო კოდი: N01.16.01.005.015) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილსა და ქვემო მეტალურგიული ქ. გადაკვეთის მიმდებარედ, N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.150; N01.19.33.008.231) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 19 ოქტომბრის N01212922186 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. წინამდებარე დადგენილებების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა განხორციელდება მხოლოდ N01.19.33.008.150 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. ხოლო, ვინაიდან N01.19.33.008.231 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი საკუთრებაში მოქცეულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მდგომარეობით მასზე ფუნქციური ზონის ცვლილება არ არის მისაღები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილსა და ქვემო მეტალურგიული ქ. გადაკვეთის მიმდებარედ, N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.150) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩაზე N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის საზღვრებში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.007.169) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით არსებული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოსდაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 5 ოქტომბრის N01212783143 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული რზ-1-ის ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე შეთანხმებული დენდროლოგიური პროექტი, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია გამწვანების - ხე ნარგავების დარგვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩაზე N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის საზღვრებში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.007.169) გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით არსებული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელი დილომში ჩარგალეთის 2 შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.028.117) მოთხოვნილია მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 27 ოქტომბრის N0121300682წერილის მიხედვით სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოთხოვნილ მონაკვეთზე მოხდეს ფუნქციური ზონის ნაწილობრივი ცვლილება. კერძოდ, არსებულ შენობა-ნაგებობაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გაუქმდეს. ხოლო, ვინაიდან, მიმდებარე მონაკვეთს გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და ცვლილების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრი, მას შეუწინააღმდეგებს შესაბამისი ქვეზონა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დილოში ჩარგალეთის 2 შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.028.117) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება (ნაწილობრივ) მისაღებია.

№12-03213023-03 29.10.2021;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.94.582 და N81.02.95.253) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.94.582; N81.02.95.253) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N507 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის გასწორებისა და ტერიტორიის ერთიანი ლოგიკური ხასიათით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ზონისა (სოფზ) და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.94.582 და N81.02.95.253) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ზონისა (სოფზ) და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; N81.02.21.629; N81.02.21.630; N81.02.21.632; N81.02.21.631; N81.02.01.802; N81.02.21.604; N81.02.21.337; N81.02.21.316; N81.02.21.336; N81.02.21.338; N81.02.21.315; N81.02.94.019; N81.02.21.575 (ნაწილი); N81.02.21.564 (ნაწილი); N81.02.21.428; N81.02.01.894; N81.02.21.515; N81.02.21.357 (ნაწილი); N81.02.01.812; N81.02.41.011 (ნაწილი)) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; N81.02.21.629; N81.02.21.630; N81.02.21.632; N81.02.21.631; N81.02.01.802; N81.02.21.604; N81.02.21.337; N81.02.21.316; N81.02.21.336; N81.02.21.338; N81.02.21.315; N81.02.94.019; N81.02.21.575 (ნაწილი); N81.02.21.564 (ნაწილი); N81.02.21.428; N81.02.01.894; N81.02.21.515; N81.02.21.357 (ნაწილი); N81.02.01.812; N81.02.41.011 (ნაწილი)) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N500განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის სამხრეთ-აღმოსავლეთით სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; N81.02.21.629; N81.02.21.630; N81.02.21.632; N81.02.21.631; N81.02.01.802; N81.02.21.604; N81.02.21.337; N81.02.21.316; N81.02.21.336; N81.02.21.338; N81.02.21.315; N81.02.94.019; N81.02.21.575 (ნაწილი); N81.02.21.564 (ნაწილი); N81.02.21.428; N81.02.01.894; N81.02.21.515; N81.02.21.357 (ნაწილი); N81.02.01.812; N81.02.41.011 (ნაწილი)) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირი N122, N118, N118ა, N118ბ-ში; ქალაქ თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N84-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.003.191; N01.12.01.003.207; N01.12.01.003.058; N01.12.01.003.219; N01.12.01.003.193) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირი N122, N118, N118ა, N118ბ-ში; ქალაქ თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N84-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.003.191; N01.12.01.003.207; N01.12.01.003.058; N01.12.01.003.219; N01.12.01.003.193) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N504განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირი N122, N118, N118ა, N118ბ-ში; ქალაქ თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N84-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.003.191; N01.12.01.003.207; N01.12.01.003.058;

N01.12.01.003.219; N01.12.01.003.193) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.098; N72.16.23.609; N72.16.23.616; N72.16.23.622; N72.16.23.099; N72.16.23.994) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.098; N72.16.23.609; N72.16.23.616; N72.16.23.622; N72.16.23.099; N72.16.23.994) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N502 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.098; N72.16.23.609; N72.16.23.616; N72.16.23.622; N72.16.23.099; N72.16.23.994) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

ე) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწ. საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.511; 01.72.14.009.510; 01.72.14.009.507; 01.72.14.009.506; 01.72.14.009.495; 01.72.14.009.496) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.511; N01.72.14.009.510; N01.72.14.009.507; N01.72.14.009.506; N01.72.14.009.495; N01.72.14.009.496) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N505 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის ჩრდილოეთით საცხოვრებელი ზონის (სზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება, ასევე, ბობ უოლშის ქუჩის მხრიდან გზის გაფართოების მიზნით, საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დიდმის სასწ. საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.72.14.009.511; 01.72.14.009.510; 01.72.14.009.507; 01.72.14.009.506; 01.72.14.009.495; 01.72.14.009.496) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

ვ) ქალაქ თბილისში, მასივი III-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.084; N01.19.20.020.080; N01.19.20.020.083; N01.19.20.020.077) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპი) პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის

5 დეკემბრის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N509 განკარგულება ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, მასივი III-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.084; N01.19.20.020.080; N01.19.20.020.083; N01.19.20.020.077) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

ზ) ქალაქი თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.13.886; N81.02.13.643; N81.02.19.720; N81.02.13.642) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.655; N81.02.13.644. N81.02.13.645; N81.02.13.642; N81.02.13.643; N81.02.13.886) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N29 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N506 განკარგულება ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციური ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქი თბილისში, სოფელწავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.13.886; N81.02.13.643; N81.02.19.720; N81.02.13.642) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

თ) ქალაქ თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა N1-1ბ-1გ-3-3ა; აგლამის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.07.002.035; N01.13.07.002.036; N01.13.07.002.038; N01.13.07.002.031; N01.13.07.002.043; N01.13.07.002.042) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, აგლამის ქ. N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი (საშუალო (სსზ-1) და მაღალი (სსზ-2) ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა) და საცხოვრებელი (მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა სზ-4) კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 16 ივნისის N01/754 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N508 განკარგულება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.13.07.002.035; N01.13.07.002.036; N01.13.07.002.038; N01.13.07.002.031; N01.13.07.002.043; N01.13.07.002.042) ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა N 1-1ბ-1გ-3- 3ა; აგლამის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო

6. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.594; №72.16.15.678; №72.16.23.429; №72.16.23.465; №72.16.23.466; №72.16.15.680; №72.16.15.683; №72.16.15.679; №72.16.23.032; №72.16.23.593; №72.16.15.814; №72.16.23.063; №72.16.23.596; №72.16.23.595; №72.16.23.062) და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032129510-03 22.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტინძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.594; N72.16.15.678; N72.16.23.429; N72.16.23.465;

N72.16.23.466; N72.16.15.680; N72.16.15.683; N72.16.15.679; N72.16.23.032; N72.16.23.593; N72.16.15.814; N72.16.23.063; N72.16.23.596; N72.16.23.595; N72.16.23.062) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ჯამურად ტერიტორიის ფართობი შეადგენს 8968 კვ.მ. (აქედან დაურეგისტრირებელი ტერიტორია 275კვ.მ). მას სამხრეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება გრუნტის გზა, ხოლო დარჩენილ სამ მხარეს მეზობელი მიწის ნაკვეთები. ტერიტორია გრუნტის გზით უკავშირდება ი. კეჭაყმაძის ქუჩას, რომელიც თავის მხრივ გადის ლისის ტბის მიმდებარედ განთავსებულ კარკასზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), რაზეც მოეწყო ინდივიდუალური საცხოვრებელი უბანი. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი – 8968 კვ.მ. სამოსახლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 12; შენობების რაოდენობა - 12. სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) –13 საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1): კ-1 -0.5; კ-2-0.8; კ-3-0.4; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორია - (1857 კვ.მ.) ტზ-1: კ-1- კ-2 კ-3-0.1; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 15მ.; შენობა-ნაგებობების სართულიანობა - 1-3 გამწვანებული ტერიტორიის ფართობი - 3030 კვ.მ. არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 14 სექტემბრის N01212571641 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა NN72.16.15.814, 72.16.15.683, 72.16.15.680, 72.16.15.679, 72.16.15.678, 72.16.23.596, 72.16.23.595, 72.16.23.594, 72.16.23.593, 72.16.23.466, 72.16.23.465, 72.16.23.429, 72.16.23.063, 72.16.23.062 და 72.16.23.032 საკადასტრო ერთეულებზე, ასევე მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 სექტემბრის N01212522260 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 12 ოქტომბრის N61-01212851711 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N72.16.15.683 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და მიმდებარე დაურეგისტრირებელი სივრცე მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, მიენიჭოს შესაბამისი ზონირება და განვითარდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 28 ივლისის N01212092942-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.678; N72.16.23.429; N72.16.23.465; N72.16.23.466; N72.16.15.680; N72.16.15.683; N72.16.15.679; N72.16.23.032; N72.16.23.593; N72.16.15.814; N72.16.23.063; N72.16.23.596; N72.16.23.595; N72.16.23.062) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032129510-03 22.10.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01212092942-67 (N01212512178-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.15.692) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032129842-03 25.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.15.692) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 13 231 კვ.მ. (კერძო საკუთრება - 12 336 კვ.მ.; დაურეგისტრირებელი არეალი - 895 კვ.მ.) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.15.692) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N98 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტოდ დაგეგმილია N72.16.15.692 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის 12 სექტორად დაყოფა. 11 მათგანზე განთავსდება სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი, ამასთან, N11 და N12 ნაკვეთებზე სააგარაკე-დასასვენებელ საცხოვრებელი სახლთან ერთად განთავსდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. ხოლო დაურეგისტრირებელ არეალზე (N1 ნაკვეთზე) მოეწყობა სკვერი. გზის გაფართოებისთვის დადგენილია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ზონირება: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) N1 სექტორისთვის  $კ-1 = 0,3$   $კ-2 = -$   $კ-3 = 0,6$  N2-დან N12 სექტორისთვის:  $კ-1 = 0,3$   $კ-2 = 1,0$   $12 მ. / 3$  სრული სართული  $კ-3 = 0,6$  ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის



18 ოქტომბრის N01212911377 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N72.16.15.692 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე დამტკიცდეს სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 27 სექტემბრის N0121270270 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.15.692) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032129842-03 25.10.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01212242611-67 (N01212642878-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად

8. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქ., წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის №214 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03213022-03 29.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.19.36.014.673; 01.19.36.014.672; 01.19.36.014.675; 01.19.36.014.674; 01.19.36.014.671; 01.19.36.014.688; 01.19.36.014.689; 01.19.36.014.687; 01.19.36.014.686; 01.19.36.014.685; 01.19.36.014.677; 01.19.36.014.683; 01.19.36.014.684; 01.19.36.014.682; 01.19.36.014.681; 01.19.36.014.680; 01.19.36.014.607; 01.19.36.014.567; 01.19.36.014.676; 01.19.36.014.679; 01.19.36.014.003). წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით საპროექტო არეალის ფართობი შეადგენს 51,407 მ<sup>2</sup> -ს. მიმდინარე განაშენიანების რეგულირების კორექტირების ფარგლებში ხდება საპროექტო არეალის ფართობის გაზრდა (N01.19.36.014.003 საკადასტრო ერთეულით) 923 მ<sup>2</sup> -ით და დაურეგისტრირებელი ფართით 165მ<sup>2</sup> , საბოლოოდ ჩამოყალიბებული არეალის ფართობია 52 494 მ<sup>2</sup> . „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6),



საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქ., წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის N214 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. „ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩასა და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს N230 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ფუნქცია: საცხოვრებელი, კომერციული; სასწავლო. კორექტირების შედეგად ჩამოყალიბებული საპროექტო არეალის ჯამური ფართობი შეადგენს: 52 494 კვ.მ.-ს. გადაგეგმარების შედეგად წარმოიქმნა 18 სექტორი შემდეგი ფუნქციური ზონირებით და დადგენილი კოეფიციენტებით: სექტორი#1.....(სსზ-2) კ1 - 0,7 კ2 - 4,6 კ3 - 0,2 სექტორი#2.....(რზ-2) კ1 - 0,2 კ2 - კ3 - 0,8 სექტორი#3.....(რზ-2) კ1 - 0,2 კ2 - კ3 - 0,8 სექტორი#4.....(სზ-6) კ1 - 0,4 კ2 - 3,5 კ3 - 0,3 სექტორი#5.....(სზ-6) კ1 - 0,5 კ2 - 3,7 კ3 - 0,3 სექტორი#6.....(სზ-6) კ1 - 0,4 კ2 - 2,8 კ3 - 0,2 სექტორი#7.....(სზ-6) კ1 - 0,4 კ2 - 3,2 კ3 - 0,2 სექტორი#8.....(სზ-6) კ1 - 0,5კ2 - 4,2 კ3 - 0,2 სექტორი#9.....(რზ-1) კ1 - 0,2 კ2 - კ3 - 0,8 სექტორი#10.....(სზ-6) კ1 - 0,5 კ2 - 6,6 კ3 - 0,2 სექტორი#11.....(სზ-6) კ1 - 0,5 კ2 - 7,2 კ3 - 0,2 სექტორი#12.....(სზ-6) კ1 - 1,0 კ2 - 1,0 კ3 - 0,0 სექტორი#13.....(სსზ-1) კ1 - 0,5 კ2 - 3,5 კ3 - 0,3 სექტორი#14.....(ტზ-1) კ1 - 0,0 კ2 - 0,0 კ3 - 0,1 სექტორი#15.....(სპეცზ-1) კ1 - 0,5 კ2 - 2,0 კ3 - 0,3 სექტორი#16.....(სზ-6) კ1 - 0,5 კ2 - 2,5 კ3 - 0,3 სექტორი#17.....(სზ-6) კ1 - 0,5 კ2 - 0,5 კ3 - 0,5 სექტორი#18.....(სსზ-1-6) კ1 - 0,3 კ2 - 0,9 კ3 - 0,1 „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების16 1 მუხლისპირველი და მე-2 პუნქტისშესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში.პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით). იმავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტების თაობაზე გაცემულ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაში საცხოვრებელი ფუნქციის

პროცენტულობის ცვლილების თაობაზე მოთხოვნის წარდგენისას, ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის ოდენობად განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დადგენილსა და მოთხოვნილ ფუნქციურ პროცენტულობას შორის არსებული სხვაობა. წარმოდგენილ შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გადმოსაცემი ფართის ოდენობა არის 845კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 26 ოქტომბრის N01212993446 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის სამსახური თანახმად საპროექტოტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 27 ოქტომბრის N0121300656 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო აღნიშნულიგანაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 12 ოქტომბრის N61-01212851718 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი, მოექცეს საპროექტო არეალში, მიენიჭოს შესაბამისი ფუნქციური ზონა და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 6 სექტემბერს N01212493513-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქ., წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის N214 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-03213022-03 29.10.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01212493513-67 (N0121271647-67; N01212781292-67; N01212933333-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. „ქ.თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.018.273; №01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის №1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03213024-03 29.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია, რომელიც წარმოდგენილ ცვლილებას მოიცავს, მდებარეობს ქალაქ თბილისში, გიორგი ტერევენკოს ქუჩა N38-სა და 40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.018.421; N01.13.01.018.415). ფართობი: 983 კვ.მ. „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). „ქ.თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ჯამური ფართობი 19 82 კვ.მ. აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმა დაკორექტირდა რამდენჯერმე, ხოლო ბოლო კორექტირება განხორციელებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის N52 განკარგულებით. ტერიტორია დაყოფილია 17 გეგმარებით ერთეულად, ფუნქციური ზონები: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); სატრანსპორტო ზონა1 (ტზ-1); ფუნქციური დანიშნულებები: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, მრავალფუნქციური, კომერციული და საოფისე. მაქსიმალური სართულიანობა: 3-4 და 6 სართული; დაცულია სზ-3-სა და სზ-5-სთვის დადგენილი პარამეტრები; დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით განსაზღვრული საპროექტო არეალი თითქმის მთლიანად არის რეალიზებული, გაუნაშენიანებლად დარჩენილია მხოლოდ N10 და N11 სექტორები (საკადასტრო კოდები: N01.13.01.018.421; 01.13.01.018.415). „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიდმის მასივში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. #14 და ნაკვ. #18/273) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.13.01.018.205; 01.13.01.018.273) ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 18 მაისის №120846 გადაწყვეტილებით გაცემული საცხოვრებელი მიკრო-უბნის” განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N294 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, რომლის შესაბამისადაც აღნიშნულ ტერიტორიას დაუდგინდა განვითარების განახლებული პარამეტრები კონკრეტულად: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით N10 და N11 სექტორებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), რომელიც იცვლება მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონირების შესაბამისად: საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5); განაშენიანების პარამეტრები: კ-1=0,4 (370კვ.მ); კ-2=2,1 (2110 კვ.მ); კ-3=0,3 (295 კვ.მ) მაქსიმალური სართულიანობა: 6-7 სართული, საიდანაც 1 სართული დაეთმოება მხოლოდ ავტოსადგომს; წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად იგეგმება ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთების გაერთიანება (საკადასტრო კოდები: N01.13.01.018.421; N01.13.01.018.415). საპროექტო ფუნქციური ზონირება : საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); საპროექტო განაშენიანების პარამეტრები: კ-1=0,4 (370კვ.მ) კ-2=2,1 (2110 კვ.მ) კ-3=0,3 (295 კვ.მ) მაქსიმალური სართულიანობა: 7 სართ; 25მ; პირველი სართული ეთმოება ავტოსადგომებს; ასევე დაგეგმილია 1 მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობა; ავტოსადგომების მინიმალური დასაშვები რაოდენობა 14 ერთეული; საპროექტო 18; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5 1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა: ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში; ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 26 ივლისის N0121207699 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.13.01.018.421 და N01.13.01.018.415 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 27 ოქტომბრის N0121300686 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის. ვინაიდან, წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით საპროექტო ტერიტორია მოდის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილ ფუნქციურ ზონირებასთან და არსებულ განაშენიანებასთან შესაბამისობაში, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ.თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01211951474-67 (N01212934-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქ.თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების

საკითხი (საქმე №12-03213024-03 29.10.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01211951474-67 (N01212934-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

10. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-14 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.605; N01.72.14.009.586; N01.72.14.009.020) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N163 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032130511-03 01.11.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდებარეობს ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ.; ქალაქი თბილისი, დიდმის სასწ. საცდელი მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.654; N01.72.14.009.655). საერთო ფართობი 41 566 კვ.მ. ტერიტორიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბობ უოლშის ქუჩა. სამხრეთით და აღმოსავლეთით განთავსებულია სპორტული კომპლექსი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სპორტული დისციპლინის მოედნებს, დარბაზებსა და საცურაო აუზებს, ხოლო ჩრდილოეთით ტერიტორია განვითარებულია, როგორც მჭიდრო საცხოვრებელი უბანი, რომლის სართულიანობა 9-დან 22 სართულამდე მერყეობს. საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. ტერიტორიის დაგეგმარებისას გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შეზღუდვის არეალები. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ნაკვეთის ფართობი: 41 566.0 მ<sup>2</sup> საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) კ<sub>1</sub> = 20 783,0 / 41 566 = 0.5 კ<sub>2</sub> = 87 650 / 41 566 = 2.1 კ<sub>3</sub> = 12 469 / 41 566 = 0.3 ცვლილება გულისხმობს მხოლოდ მესამე სექტორის გამოყოფას, ელექტროენერჯის მისაწოდებელი ქვესადგურის განსათავსებლად და მას გამოეყოფა ფართობი პირველი სექტორისაგან 30 კვ.მ.-ის ოდენობით. ნაკვეთი I (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები) ფართობი: 40 928,0 კვ.მ კ<sub>1</sub> = 0.5 კ<sub>2</sub> = 2.1 კ<sub>3</sub> = 0.3 ნაკვეთი II (ბაგა-ბაღი); ფართობი: 608.0 კვ.მ კ<sub>1</sub> = 0.5 კ<sub>2</sub> = 2.1 კ<sub>3</sub> = 0.3 ნაკვეთი III (ელექტრო ქვესადგური); ფართობი: 30,0 კვ.მ კ<sub>1</sub> = 1,0 კ<sub>2</sub> = 1,0 კ<sub>3</sub> = 0,0 ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-14 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.605; N01.72.14.009.586; N01.72.14.009.020) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის

დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N163 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032130511-03 01.11.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01212852954-67) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

11. ქალაქ თბილისში, ზემო ლისზე; ქალაქი თბილისი, სოფელი ზემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.722; N72.16.18.747; N72.16.18.341) სასაწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03213091-03 05.11.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში. წარმოდგენილია 3 მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდები: N72.16.18.722; N72.16.18.747; N72.16.18.341), ჯამში 13 800 კვ.მ.ტერიტორიას დასავლეთით და აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთით - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ესაზღვრება. სატრანსპორტო წვდომა ტერიტორიას აქვს ლ. კვაჭაძის ქუჩიდან. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.747; N72.16.18.341; N72.16.18.722) სასაწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N149 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 13,043 კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – 757 კვ.მ. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი აქტიურად ვითარდება საცხოვრებელი ფუნქციით, გაჩნდა მოთხოვნა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების, მათ შორის სკოლასაბავშვო ბაღის და სწორედ ამ მოთხოვნას პასუხობს წარმოდგენილი პროექტი. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტერიტორია განვითარდება საგანმანათლებლო ფუნქციით, რომლის გამოყენებაც იქნება სკოლა და საბავშვო ბაღი. დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაში შემავალი სამი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება ერთ ნაკვეთად, სადაც განთავსდება ერთი ძირითადი შენობა, რომლის მაქსიმალურ სართულიანობად განსაზღვრულია 3 სართული. მოეწყობა ერთი მისასვლელი გზა ლ. კვაჭაძის ქუჩიდან. საპროექტო ფუნქციური ზონები და ფართობები: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 13,043 კვ.მ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – 757 კვ.მ საპროექტო ფუნქციური ზონების კოეფიციენტები: (სზ-1) კ1=0,5; კ2=0,8; კ3=0,4; (ტზ-1) კ1; კ2 ; კ3=0,1; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა: 15 მ. 3 სართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისგარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის2021 წლის 2 ნოემბრის N01213061231(N01203502164) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის

ფარგლებში თანახმაა N72.16.18.747; N72.16.18.341; N72.16.18.722 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 27 ოქტომბრის N0121300879 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის დასკვნას ქალაქ თბილისში, ზემო ლისზე; ქალაქ თბილისში, სოფელი ზემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.722; N72.16.18.747; N72.16.18.341) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-03213091-03 05.11.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N012022198-67 (N01203351-67; N01210783918-67; N01211443476-67; N01212092852-67; N01212733212-67; N01212951633-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

12. ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N58, N56, N54, N52, N50-სა და შუა მინდვრის ქუჩა N74-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.033; N72.16.27.061; N72.16.27.105; N72.16.27.104; N72.16.27.106; N72.16.09.566) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03213153-03 11.11.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N58, N56, N54, N52, N50-სა და შუა მინდვრის ქუჩა N74-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.033; N72.16.27.061; N72.16.27.105; N72.16.27.104; N72.16.27.106; N72.16.09.566). საპროექტო არეალში შედის როგორც კერძო, ასევე თვითმმართველის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები; საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 11211 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს ლისის ქედის ერთ-ერთ სამხრეთ განშტოებაზე, თითქმის მის თხემურ ნაწილში, რომელსაც ოთხივე მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზები. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N58, N56, N54, N52, N50-სა და შუა მინდვრის ქუჩა N74-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.033; N72.16.27.061; N72.16.27.105; N72.16.27.104; N72.16.27.106; N72.16.09.566) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N378 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით ფიქსირდება შპს



„ჯორჯიანუოთერ ენდ ფაუერი“-ს საკუთრებაში არსებული წყალსადენის მილი. (იხ. წერილი OG19-0310689), წარმოდგენილია ამავე კომპანიის მიერ დამუშავებული წყალსადენის მილის გადატანის პროექტი, სადაც ასევე დაფიქსირებულია გასხვისების არეალები. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესაბამისად, დაცულია როგორც საპროექტო მილის სანიტარული დაცვის არეალი (10 მეტრი), ასევე სამშენებლოდ შეზღუდული 5 მეტრიანი არეალი. სს თელასის 110 კვ. საჰაერო ხაზი საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს და საპროექტო ტერიტორიიდან 200 მეტრით არის დაშორებული. საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებით განაშენიანება. საპროექტო არეალი იმიჯნება 16 მიწის ნაკვეთად; საპროექტო ფუნქციურ ზონირებად დაგეგმილია: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის შეზღუდვა 15 მეტრი; საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1): კ-1=0.5; კ-2=0.8; კ-3=0.4 სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2): კ-1 კ-2 კ-3=0.8 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1): კ-1 კ-2 კ-3=0.1 შესაბამისად, საპროექტო 16 ნაკვეთიდან 14-ზე იგეგმება ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, 1 ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონის და 1 ნაკვეთზე სარეკრეაციო სივრცისგავრცელება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისგარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 1 ნოემბრის N01213051527 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა სამსახური №72.16.09.566; №72.16.27.106; №72.16.27.104; №72.16.27.105; №72.16.27.061 და №72.16.27.033 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 2 ნოემბრის N01213061405 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 2 ნოემბრის N61-01213062001 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N72.16.27.061 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, მოექცეს საპროექტო არეალში, მიენიჭოს შესაბამისი ფუნქციური ზონირება და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 24 ოქტომბრის N012129719-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N58, N56, N54, N52, N50-სა და შუა მინდვრის ქუჩა N74-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.033; N72.16.27.061; N72.16.27.105; N72.16.27.104; N72.16.27.106; N72.16.09.566) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-03213153-03 11.11.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01203522505-67 (N01210534336-67; N012112954-67; N012129719-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.



13. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N86 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03213152-03 11.11.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N24-სა და გიორგი დანელიას ქუჩა N2, N4-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.079; 01.14.06.006.084; 01.14.06.006.085). ტერიტორიის ფართობი 35 791 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.14.06.006.045; N01.14.06.006.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის N95 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად, საცხოვრებელ ზონა 6- ში დაგეგმილი იყო ტერიტორიის ოთხ სექტორად დაყოფა და ოთხი მრავალფუნქციური შენობანაგებობის მშენებლობა, დომინირებულ სახეობას წარმოადგენდა საცხოვრებელ ფუნქციას, საზოგადოებრივი 14 % საცხოვრებელი 86 %. მაქსიმალური სართულიანობა 25, 24, 14, 7. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები სექტორების მიხედვით (მიწის ნაკვეთების, რომელზეც განხორციელდა კორექტირება) N1 სექტორი - 11 760 კვ.მ - სზ-6 კ1= 0,3 კ2 = 2,8 -24 სართული კ-3 = 0,1 N2 სექტორი - 11 837 კვ.მ. - სზ-6 კ1= 0,3 კ2 = 2,1 - 14 სართული კ-3 = 0,3 N3 სექტორი - 6 899 კვ.მ. - სზ-6 კ1= 0,3 კ2 = 1,7 - 7 სართული კ-3 = 0,3 N4 სექტორი - 5 295 კვ.მ. - სზ-6 კ1= 0,5 კ2 = 5,8 - 25 სართული კ-3 = 0,2 ჯამური მონაცემები - 35 791 კვ.მ. - სზ-6 კ-1= 0,3 (11 600 კვ.მ.) კ-2 = 2,8 (100 200 კვ.მ.) კ-3 = 0,2 (8 000 კვ.მ.) წარმოდგენილი კორექტირება ეხება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით N2, N3 და N4 სექტორებს. აღნიშნული სექტორები ერთიანდება ერთ (N2) სექტორად, იცვლება შენობათა განთავსება და სართულიანობა, კერძოდ: N4 სექტორში არსებული 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლი იცვლის კონფიგურაციას და მცირდება 20 სართულამდე, იზრდება N3 სექტორში არსებული 7 სართულიანი საცხოვრებელი 9 სართულამდე და ემატება მდ. ვერეს ხეობის მხარეს ცალკე მდგომი 2 სართულიანი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. (საზოგადოებრივი 13% საცხოვრებელი 87%). აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს დადგენილი განაშენიანების კ-2 კოეფიციენტის და მისი საანგარიშო ფართობის ცვლილებას, თუმცა ვინაიდან ემატება ახალი შენობა, იზრდება კ-1 კოეფიციენტი 0,3-დან 0,4-მდე, თუმცა შეესაბამება ზონით დადგენილ 0,5-ს. ასევე, კორექტირებით დაგეგმილია დანელიას ქუჩის გაფართოება, იზრდება ავტოსადგომების რაოდენობა, რომლის ნაწილიც განთავსებულია დანელიას ქუჩის გასწვრივ, რომელსაც განესაზღვრება საჯარო სარგებლობის სერვიტუტი. საპროექტო პარამეტრები: N1 სექტორი - 11 760 კვ.მ - სზ-6 კ1= 0,3 - 3 200 კვ.მ. კ2 = 2,8 - 33 000 კვ.მ. 24 სართული კ-3 = 0,1 - 1 370 კვ.მ. N2 სექტორი - 24 031 კვ.მ. - სზ-6 კ1= 0,4 - 9 430 კვ.მ. კ2 = 2,8 - 67 200 კვ.მ. 2, 9, 14, 20 სართული კ-3 = 0,3 - 6 700 კვ.მ. ჯამური მონაცემები - 35 791 კვ.მ. - სზ-6 კ1= 0,4 -

12 630 კვ.მ. კ2 = 2,8 – 100 200 კვ.მ. კ-3 = 0,2 – 8 070 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 5 ოქტომბრის N01212782978წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის დასკვნას „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N86 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-03213152-03 11.11.2021წ); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01210184445-67 (N0121130835-67; N01212011847-67; N01212532409-67; N01212742815-67; N01212942811-67; N01212992337-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

14. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.470; N72.16.15.681; N72.16.23.909) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032131554-03 11.11.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტინძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.470; N72.16.15.681; N72.16.23.909). ასევე, მოიცავს დაურეგისტრირებელ ტერიტორიას (ფართობი: 211 კვ.მ.); ჯამში საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს: 5 430 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). საპროექტო ტერიტორია განვითარდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) პარამეტრების შესაბამისად (კ1=0.5; კ2=0.8; კ3=0.4;) და ასევე მიენიჭება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შესაბამისად, გათვალისწინებულია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). საპროექტო კოეფიციენტები იქნება ზონით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა მოხდება 10 საკადასტრო ერთეულად. 7 მიწის ნაკვეთზე განთავსდება ერთი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, 2 ნაკვეთი განკუთვნილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის, ხოლო N10 დაეთმობა არსებულ ელექტრო ტრანსფორმატორს. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 5430 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1-0,5; განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2-0,8; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3-0,4; შენობა-

ნაგებობა არაუმეტეს 3 სართული. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისგარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 8 ოქტომბრის N01212813120 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 72.16.15.681, 72.16.23.470 და 72.16.23.909 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 3 აგვისტოს N012121558 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 10 აგვისტოს N61-0121222483 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში და განვითარდეს წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

